საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN2

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

13 თებერვალი 2023 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ნატალია ასათიანი ,4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6.იზა მაგრაქველიძე; 7. გიორგი ბარათაშვილი ; 8. დავით ცხადაძე;

სხდომას არ ესწრებოდა: ამირან ვერულაშვილი; ომარ ჯიხვაშვილი, რუსუდან კოვძირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში გულადი აბჟანდაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 თებერვლის N -გ.29.29220471 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 თებერვლის N -გ.29.29220471 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საჭიროა საბჭოს გაძლიერება, საჭიროდ ჩათვალეს საბჭოს ფუნქიონირებისათვის დაემატოს საკრებულოს და მერიის იურისტები, საკრებულოს აპარატის უფროსი, მერიის ადმინისტრაციის უფროსი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები (პიარი);

გენდერული პერსპექტივის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოს განახლებას. გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყანაში არსებული უახლესი ტენდენციებისა და საკანონმდებლო ბარიერების შესახებ შემოთავაზებულია გამოწვევების შესაძლო გადაჭრის გზები და როგორც მოკლევადიანი, აგრეთვე გრძელვადიანი პერსპექტივები კონკრეტული რეკომენდაციების შესრულებისათვის. როგორიცაა: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმები, დისკრიმინაცია, ქალთა მიმართ ძალადობა, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა, მშვიდობა და უსაფრთხოება, ასევე, გენდერული ბიუჯეტირება, გენდერული აუდიტი და გენდერული გავლენის შეფასება;

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: